



საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 17

2 მარტი 2018 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაცია მიზნად ისახავს მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებას, მართვის პროცესის ეფექტიანობის უზრუნველყოფას და შტატების რიცხოვნობის ოპტიმიზაციას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106¹-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

1. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გამწვანების მოვლა-პატრონობის ცენტრის“ და ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრის“, ასევე ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - „სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ და ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - „სენაკის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის“ შერწყმის მიზნით, მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ამავე მუხლში მითითებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაციის პროცესის დაწყების თაობაზე.

2. გამოცემული განკარგულების თაობაზე ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი